გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 170

2023 წლის 8 სექტემბერი
ქალაქი გორი

ა (ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/კ 218081590) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო
ა(ა)იპ „გორის
მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი“

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. ''THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY''

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370).27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

№ 81

22 აგვისტო, 2023 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის (#21-21232268, 14/08/2023) პასუხად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ წარმოგიდენთ ინფორმაციას 2022 წლის სექტემრიდან განვლილი პერიოდის შემოსულობების, გადასახდელების და სხვა ფინანსური მოძრაობის შესახებ.

(დანართი 2 ფურცლად)

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი: მ. გიუნაშვილი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ფინანსური

ანგარიში 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის აგვისტომდე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, 2022 წლის ბიუჯეტიდან, ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით, გამოყოფილი ჰქონდა 199 500 ლარი (135 000 ლარი დელეგირებული, ხოლო 64 500 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მ.შ. 17500 ლარი - „C ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგი"-ს განხორციელების მიზნით). გასული წლის საანგარიშგებო პერიოდში (IX-XII თვეები) ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებული იყო 11 შტატით, ხოლო 10 - ხელშეკრულებით მომუშავე თანამშრომელი; აღნიშნულ პერიოდში, ბიუჯეტიდან მიღებული 75 692.34 ლარის ხარჯვა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განხორციელდა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა სულ - 62 174.40 ლარი (შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 46 294.50 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა - 15 879.90 ლარი), საიდანაც 9 180.50 ლარი თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით გაცემული პრემიაა;
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 360 ლარი;
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) - 5332.43 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 1705.86 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი - 140.45 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯი) - 5498 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 481.20 ლარი.

2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ჯანდაცვის ცენტრს გამოყოფილი აქვს 221 000 ლარი. 1 იანვრიდან აგვისტომდე მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 115 200.54 ლარი; აღნიშნული თანხის ხარჯვა, კლასიფიკაციის მიხედვით, მუხლობრივად გადანაწილდა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა სულ - 104 890.65 ლარი (შტატით მომუშავე 12 თანამშრომელზე - 81 024.37 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავე 7 თანამშრომელზე - 23 866.28 ლარი);
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 300 ლარი;
- საოფისე ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) - 3 613.08 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 1 405.21 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 280 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი - 232.30 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 4 479.30 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, გარდა ბიუჯეტიდან სუბსიდიით გამოყოფილი დაფინანსებისა, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საკუთარი შემოსულობების სახით, საანგარიშგებო პერიოდში მიღებული აქვს სულ 43 716 ლარი (2022 წელს - 35 147 ლარი, ხოლო 2023

წელს - 8 569 ლარი): „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის შესრულებისთვის - 17 800 ლარი, ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამით - 20 145 ლარი, „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამით - 371 ლარი (სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრებისთვის); „საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და პრევენციის გაძლიერების მიზნით მომსახურებისთვის - 1000 ლარი და „თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის და მოწევის აკრძალვა-შეზღუდვის“ მიზნით მონიტორინგის განხორციელებისთვის - 4 400 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდში, საკუთარი შემოსულობებით მიღებული დაფინანსებიდან, 22950.04 ლარის ხარჯვა განხორციელდა შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება - 15795 ლარი, სამივლინებო ხარჯი - 360 ლარი, საოფისე ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) - 5360.04 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 120 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 1315 ლარი.

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი: მ. გიუნაშვილი